**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო**
**National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia**

KA990155177759923

**№17/1452** **22 / მაისი / 2023 წ.**

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოადგილეს, ქალბატონ მაია ბერაძეს

ქალბატონო მაია,

სააგენტომ განიხილა თქვენი 18.05.2023 წლის N21/3694 წერილი, რომელიც ეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ. კოჭბაანში 2 ერთეული (ჯამურად 24 840 მ 3) სარეკრეაციო დანიშნულების ტბორისა და მათი დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებით სააგენტოს პოზიციის წარდგენას.

როგორც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სააგენტოს 17.05.2023 წლის №17/1416 წერილით გეცნობათ, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალში, რის გამოც, მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის მიმართ დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი დაგეგმილი სამუშაოები განხორციელდეს სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ პროექტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება უნდა შეთნახმდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად პაატა გაფრინდაშვილი